



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამების კლასტერის შესახებ

ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი
ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი

შპს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები
2024 წლის 23-24 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2024 წლის 24 ივლისი

თბილისი

შინაარსი

<u>I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ</u>	4
<u>II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა</u>	5
<u>III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან</u>	16
<u>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</u>	16
<u>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</u>	28
<u>3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</u>	35
<u>4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</u>	37
<u>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</u>	47

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შ.პ.ს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	კიელ ივარ ოვერგარდი, სამხრეთ- აღმოსავლეთ ნორვეგიის უნივერსიტეტი, ნორვეგია.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიამ ალანია, აიპ -GIPA- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ სეხნიაშვილი, მაგისტრი, BCBA. შპს “PUZZLE” თანადამფუძნებელი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლიკა კვინჩია, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფსიქოლოგია	ფსიქოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	6	6
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის ბაკალავრი	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0313: ფსიქოლოგია	0313: ფსიქოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹		
სწავლების ენა	ქართული	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი	ახალი

¹ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²**

BA ფსიქოლოგია და BA ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი) კლასტერში დაჯგუფებული ორი ახალი პროგრამაა, რომლებიც წარდგენილია აკრედიტაციისთვის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ (შემდგომში IBSU). პროგრამები არის პირველი საფეხურის საბაკალავრო დონის პროგრამები (დონე 6) და მოიცავს 240 ECTS კრედიტს, დაყოფილია 140 ECTS კრედიტის ოდენობით ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსად, 50 ECTS – ძირითადი სპეციალობის არჩევით კურსად, 40 ECTS –სავალდებულო კურსები და 10 ECTS საბაკალავრო თემისათვის სტუდენტის მიერ შერჩეულ თემატურ სფეროში. პროგრამები შემუშავდა შრომის ბაზრის კვლევის შედეგად, რომელიც აფასებდა საბაკალავრო დონის ფსიქოლოგიის პროგრამის პოპულარობას, შრომის ბაზარზე ფსიქოლოგიურ კომპეტენციებზე მოთხოვნას და შრომის ბაზრისთვის საჭირო სპეციფიკურ კომპეტენციებს. შრომის ბაზრის კვლევის შედეგებმა მიუთითა შრომის ბაზარზე ფსიქოლოგიური კომპეტენციების მოთხოვნაზე, სადაც განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ინგლისური ენის ფლობაზე, როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო ფაქტორზე. ამრიგად, IBSU-მ შეიმუშავა როგორც ქართულენოვანი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა (შემდგომში სახელწოდებით ფსიქოლოგია, BA), ასევე ინგლისურენოვანი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა (შემდგომში - ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი) BA).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2024 წლის 22-23 აპრილს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IBSU) შენობებში დავით აღმაშენებლის ხეივანში, მე-13 კმ, 2 საფოსტო ინდექსი: 0131, თბილისი, საქართველო აკრედიტაციის კომიტეტმა 22 აპრილს გამართა შეხვედრები ადმინისტრაციულ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან ბოლო შეხვედრის წინ გაიმართა IBSU-ის ობიექტებისა და შენობების საპრეზენტაციო დათვალიერება. 23 აპრილს აკრედიტაციის კომიტეტმა შეხვედრები გამართა შესაბამისი პროგრამის სტუდენტებთან, შესატყვისი სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, სანამ დღის ბოლო შეხვედრაზე წარმოადგენდა რამდენიმე ძირითად მიგნებას.

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა 1: ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი.

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2: ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ ზოგადი რეკომენდაციები კლასტერის მიმართ:

სტანდარტი 1.4

- რეკომენდებულია, კურსებს გააჩნდეთ განსხვავებული სწავლის შედეგები.

სტანდარტი 1.5

- რეკომენდებულია, დაემატოს კურსი – „გამოყენებითი ქცევის ანალიზი.“
- რეკომენდებულია, ინდივიდუალურ კურსებს, რომლებიც ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ, ჰქონდეთ მკაფიოდ განსხვავებული სწავლის შედეგები.

სტანდარტი 2.3.

- რეკომენდებულია, სილაბუსებში ნათლად იყოს გაწერილი სწავლის/სწავლების მეთოდები და თავიდან იქნას აცილებული ზოგადი ფორმულირების გამოყენება.
- რეკომენდებულია, სწავლება/სწავლის მეთოდები უფრო მეტად მოერგოს სტუდენტთა საჭიროებებს და ნაკლებად ერთგვაროვანი იყოს.

სტანდარტი 2.4.

- რეკომენდებულია, სილაბუსებში პრეზენტაციისთვის მინიჭებული შეფასების წონა შესწორდეს იმგვარად, რომ, უზრუნველყოფილი იყოს ქულების თანაბარი განაწილება შეფასების სხვა კრიტერიუმებთან მიმართებაში.
- რეკომენდებულია, კურსებში გამოიყენონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც შეამცირებენ სუბიექტური აზრის გავლენას შეფასებაზე.
- რეკომენდებულია, მკაფიოდ განისაზღვროს სემინარის აქტივობის შეფასების კრიტერიუმები.

სტანდარტი 4.4

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააძლიეროს ტრენინგ-შეხვედრები სტუდენტებთან, რათა მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ გამოიყენონ აკადემიურ მონაცემთა ბაზები, რომლებიც ამჟამად გამოწერილი აქვს ბიბლიოთეკას.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიძინოს მოცემული სასწავლო პროგრამის თითოეული სახელმძღვანელოს მინიმუმ ერთი ბეჭდური ეგზემპლარი და ხელმისაწვდომი გახადოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რათა სტუდენტებმა შეძლონ სახელმძღვანელოებით სარგებლობა.
- რეკომენდებულია, ყველა სავალდებულო ლიტერატურა იმეზნებოდეს ბიბლიოთეკის კატალოგში, რათა სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ საინფორმაციო რესურსების შესახებ.

სტანდარტი 5.2

- რეკომენდებულია, განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები გარე კოლეგიური შეფასებისთვის, რადგან ამჟამად არსებული უკუკავშირი ხაზს არ უსვამს პროგრამის არც ძლიერ და არც სუსტ მხარეებს, გამოიყურება უფრო ფორმალურად და ნაკლებად ინფორმაციულად.

▪ რეკომენდაციები პროგრამა 1 –ისთვის – ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი (ქართულენოვანი)

სტანდარტი 4.4.

- რეკომენდებულია, ქართულენოვან სასწავლო პროგრამაში სავალდებულო ლიტერატურა ქართულ ენაზე იყოს მოცემული, ხოლო ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები შეიძლება დამატებითი ლიტერატურის სიაში შევიდეს.

▪ რეკომენდაციები პროგრამა 2 –ისთვის – ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი (ინგლისურენოვანი)

სტანდარტი 4.4.

- რეკომენდებულია, დამატებითი ლიტერატურის განახლება სასწავლო პროგრამის სამიზნე ჯგუფის ენობრივი უნარების გათვალისწინებით.

▪ კლასტერის ზოგადი რჩევები:

სტანდარტი 1.4.

- სასურველია, რომ ყველა კურსს სწავლის შედეგებში კატეგორიები „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ შეესებული ჰქონდეს ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-6 დონის შესაბამისად.

სტანდარტი 1.5.

- სასურველია, რომ სწავლის შედეგებში (უნარები, ცოდნა, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) ტექსტის სტრუქტურირებაში ან/და განთავსებაში არსებული უმნიშვნელო შეცდომები გამოსწორდეს.

სტანდარტი 2.4.

- სასურველია, უნივერსიტეტმა შექმნას დოკუმენტი, რომელიც აღწერს, თუ რამდენად/როგორ უნდა გამოიყენონ IBSU-ს სტუდენტებმა და პერსონალმა ხელოვნური ინტელექტი (AI) სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში.
- სასურველია, ფაკულტეტმა ზოგჯერ მიმართოს გარე გამომცემელს, რადგან ეს ხელს შეუწყობს შეფასების პროცედურის ხარისხისა და სისწორის კონტროლს.
- სასურველია, რომ შიდა შეფასების სანდოობა გარე შემფასებლისა და შიდა შემფასებლის მიერ გამოითვალოს და წარმოდგენილი იქნას პროგრამის ყოველწლიურ ანგარიშში.

სტანდარტი 5.1.

- სასურველია, პროგრამის მიზნების მისაღწევად და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანი მუშაობისთვის, ხელი შეეწყოს აკადემიური პერსონალის აქტიურ მონაწილეობას თვითშეფასების პროცესში.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის. პროგრამა 2 –ის შემთხვევაში: ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი.

სტანდარტი 1.1

- სასურველია, ფსიქოლოგიის (ინგლისურენოვან) საბაკალავრო პროგრამას დაემატოს მე-6 მიზანი, რომელიც აღწერს მიზანს, თუ რისთვის შეიქმნა ახალი ინგლისურენოვანი პროგრამა.

სტანდარტი 1.2

- სასურველია, ფსიქოლოგიის (ინგლისურენოვან) საბაკალავრო პროგრამას დაემატოს დამატებითი სასწავლო მიზანი, რომელიც დეტალურად აღწერს ინგლისური ენის ცოდნის მნიშვნელობას.

■ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის კომენტარები ჩამოთვლილია იმავე თანმიმდევრობით, როგორც უსდ-ის არგუმენტირებული პოზიციის შემცველ დოკუმენტში.

დასკვნის პროექტი გვ.6 და გვ.46

უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ მე-4 სტანდარტს მიენიჭა შეფასება „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი ქვესტანდარტი (4.4.) შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. საბოლოო დასკვნაში ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული შეასწორა. სტანდარტი 4-ს ამჟამად აქვს შეფასება: „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

1.4-ის რეკომენდაციები არასწორად არის მითითებული 1.3-ის რეკომენდაციებად

უნივერსიტეტმა აღნიშნა, რომ მე-6 გვერდზე არსებული რეკომენდაციები არასწორად იყო მითითებული 1.3-ი ქვესტანდარტის რეკომენდაციებად, როდესაც ისინი რეალურად ქვე-სტანდარტ 1.4-ს ეკუთვნის. საბოლოო ანგარიშში ეს შესწორებულია.

სტანდარტი 1.4 (გვ. 18-19) და სტანდარტი 1.5. (გვ. 21)

უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ არც ერთ კურსს არ ჰქონია ძალიან მსგავსი/მსგავსი ან იდენტური სწავლის შედეგი. მათ მაგალითები მოიყვანეს კურსებიდან სახელწოდებით „ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 და 2“ და „კოგნიტური ფსიქოლოგია 1 და 2“. ეს მაგალითები მოყვანილია როგორც ინდიკატორი იმისა, რომ სწავლის შედეგები განსხვავებულია. შემდეგ, უნივერსიტეტის მტკიცებით, ეს მოწმობს რომ 1.4 და 1.5 სტანდარტების რეკომენდაციები სწავლის შედეგების დიფერენცირების შესახებ არ არის მართებული.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ იმ კურსების სილაბუსები, რომლებიც წარმოდგენილია თანმიმდევრულად, როგორიცაა ფსიქოლოგიის საფუძვლები 1, ფსიქოლოგიის საფუძვლები 2, კოგნიტური ფსიქოლოგია 1 და კოგნიტური ფსიქოლოგია 2, ნათლად არ აჩვენებს იმ განსხვავებულ უნარებს, რომლებსაც სტუდენტები შეიძენენ. შავი ზღვის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტი, სადაც განსხვავებები მარკერით ხაზგასმულია, არ პასუხობს ჩვენს

წუხილს, რადგან მხოლოდ სხვადასხვა თემების შესწავლა ვერ იქნება სტუდენტებისთვის ახალი უნარების განვითარების ექვივალენტური. მაგალითად, თუ სტუდენტები აღწერენ სოციალურ, შემეცნებით, განვითარების, ბიოლოგიურ ასპექტებს და ფსიქოლოგიურ პროცესებს ფსიქოლოგიის საფუძვლები 1-ში, მაშინ ფსიქოლოგიის საფუძვლები 2-ში ისინი აღწერენ უფრო მაღალ კოგნიტურ პროცესებს, პიროვნების ფსიქოლოგიას და ფსიქიკური ჯანმრთელობის მახასიათებლებს. ამ შემთხვევაში, განსხვავებულია განვლილ თემებში. თუმცა უნარების გამომუშავების კუთხით, მკაფიო განსხვავებები არ არის. მართალია, ბუნებრივია რომ ორსემესტრიან კურსში განსხვავებული თემები ისწავლებოდეს, თუმცა მხოლოდ ეს არ არის საკმარისი უნარების მხრივ განსხვავებული შედეგის მიღწევის სადემონსტრაციოდ.

ასევე, უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული მაგალითები, ³ როგორც ჩანს, მომდინარეობს ქართულენოვანი პროგრამის კურსის აღწერილობიდან, რადგან უნივერსიტეტის არგუმენტში წარმოდგენილი სწავლის შედეგები არ შეესაბამება „ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 და 2“ კურსების ინგლისურენოვან ვერსიებს; წინასწარ დაკსენაში კი სწორედ ინგლისურენოვან ვერსიაზეა საუბარი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კურსის აღწერილობის ქართული და ინგლისურ ვერსიები შესაძლოა არ იყოს იდენტური. წინა ანგარიშში სიცხადის შესაძლო ნაკლებობის გამო, ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა სპეციალობის ყველა სავალდებულო კურსის სწავლის შედეგებს ორივე პროგრამისთვის (როგორც ქართული, ასევე ინგლისური) და დაადგინა, რომ:

„...აღმოვაჩინეთ, რომ რამდენიმე ინდივიდუალურ კურსს აქვს ძალიან მსგავსი - ან იდენტური სწავლის შედეგები.“ ეს განსაკუთრებით ეხება ინგლისურენოვან პროგრამას, სადაც განვითარების ფსიქოლოგია 1 და 2-ს აქვთ იდენტური სწავლის შედეგები, ისევე როგორც ფსიქოლოგიის საფუძვლები 1-ს და 2-ს და პიროვნების ფსიქოლოგია 1-ს და 2-ს.

ორივე პროგრამის შემთხვევაში გამოვლინდა, რომ კოგნიტურ ფსიქოლოგია 1-ს და 2-ს ჰქონდათ კურსის იდენტური მიზნები, პასუხისმგებლობები და ავტონომია, ხოლო უნარები თითქმის იდენტური იყო; კოგნიტურ ფსიქოლოგია 1-ს ჰქონდა მხოლოდ ერთი განსხვავებული უნარი: „მსჯელობს კლასიკურ კვლევებსა და გამოყენებულ მეთოდებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია კოგნიტური ფსიქოლოგიის, ყურადღების, მეხსიერების და აღქმის პროცესების შესწავლაში.“ გარდა ამისა, კურსებს „კვლევის მეთოდები 1 და 2“ აქვთ ნაწილობრივ მსგავსი აღწერილობები ცოდნისა და გაცნობიერების მიმართულებით, ხოლო უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია იდენტურია.“

ანგარიშში შეტანილია ცვლილებები ამ მიგნებების ასახვისა და დაზუსტების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სურს ბოდიში მოიხადოს ნებისმიერი ისეთი ტექსტისთვის, რომელიც ნათლად არ იყო გადმოცემული დასკვნის პროექტში. ექსპერტთა ჯგუფმა

³ ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მტკიცებულებებში – არც პროგრამის აღწერაში და არც სილაბუსებში არ არის ნახსენები არც ერთი კურსი სახელწოდებით „ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 და 2“ (“Fundamentals of Psychology 1 and 2”) და ექსპერტთა ჯგუფი ვარაუდობს, რომ უნივერსიტეტმა კურსი “Basics in Psychology 1 and 2”-ის ტექსტი ქართულენოვანი ვერსიიდან თარგმნა და ამიტომაც თარგმანში გარკვეული დამეცვალ სახელწოდება.

გამოავლინა, რომ ორივე პროგრამის რამდენიმე კურსს აქვს სწავლის შედეგებში იდენტურობის/მსგავსების გარკვეული დონე, რაც უნდა გამოსწორდეს, რომ უზრუნველყოფილი იყოს კურსების მკაფიო დიფერენცირება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს ქვესტანდარტი 1.4-ის და 1.5-ის რეკომენდაციებს.

სტანდარტი 1.5 (გვ. 21).

ექსპერტთა ჯგუფი მოხარულია, რომ უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას, „გამოყენებით ქცევითი ანალიზის“ სასწავლო კურსის ჩამატების თაობაზე.

სტანდარტი 2.3

იმ რეკომენდაციაზე, რომ „რეკომენდებულია სწავლა/სწავლების მეთოდების მკაფიოდ გაწერა სილაბუსებში და ზოგადი ფორმულირებების თავიდან არიდება“- უნივერსიტეტმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „თითოეული სამუშაო აქტივობა დაკავშირებულია კონკრეტულ კვირას განხილულ მასალასთან („წინა“, „წარსული“ ან „მიმდინარე“). *სილაბუსში ცალკე სვეტია გამოყენებული სწავლა/სწავლების მეთოდებისთვის, სადაც დაკონკრეტებულია სწავლისა თუ სწავლების ის კონკრეტული მეთოდები, რომლებიც კურსის თავისებურებებიდან გამომდინარე გამოიყენება. აღნიშნული მეთოდები აღწერილია პროგრამაში.* შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრება სწავლა/სწავლების მეთოდების ზოგად ფორმულირებასთან დაკავშირებით ვერ ჩაითვლება ვალიდურად.“

სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებით, სასემინარო აქტივობასთან მიმართებით სილაბუსებში გამოყენებული სიტყვათა ფორმულირება ზოგადია, როგორც ეს ხაზგასმულია აღწერის ნაწილში. გარდა ამისა, რეკომენდაცია სასემინარო აქტივობების აღწერის შესახებ ეფუძნება ისეთ ზოგად ფორმულირებებს, როგორებიცაა „განვლილ მასალასთან დაკავშირებული სავარჯიშოები.“ გაუგებარია, კონკრეტულად რა ტიპის სავარჯიშოებზეა საუბარი და როგორ ფასდება წინა მასალის ცოდნა. განმარტება შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის ჯგუფურ მუშაობას ან ინდივიდუალურ დავალებებს, წერილობით ან ზეპირ გამოკითხვებს; ფორმატის დაზუსტების გარეშე, ფორმულირება ზოგადი და აბსტრაქტულია. სასემინარო აქტივობების აღწერის შემთხვევაში ისინი უნდა იყოს მკაფიო და გასაგები. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს რეკომენდაციას: „რეკომენდებულია სწავლა/სწავლების მეთოდების მკაფიოდ გაწერა სილაბუსებში და ზოგადი ფორმულირებების თავიდან არიდება“.

რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ „სწავლება/სწავლის მეთოდები უფრო მეტად მოერგოს სტუდენტთა საჭიროებებს და ნაკლებად ერთგვაროვანი იყოს“, უნივერსიტეტი მიიჩნევს რომ არასწორია რამდენადაც უნივერსიტეტს სწავლა/სწავლების არაერთი აქტივობა აქვს.

ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტს ეთანხმება, რომ იგი სხვადასხვა და მრავალფეროვან სასწავლო აქტივობებს იყენებს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება ფოკუსირებულია არა უშუალოდ სწავლების მეთოდზე, არამედ უფრო იმ კონკრეტულ უნარებზე, რომელზეც ხდება ქულების მინიჭება. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ქულების მინიჭება სპეციალური

პრეზენტაციებისა და ისეთი უნარებისთვის, როგორიცაა „კარგად საუბრობს“ ან „აუდიტორიასთან კონტაქტს ამყარებს“ ხელს უშლის ზოგიერთ სტუდენტს კარგი შეფასების მიღებაში. მაგალითად, იმ მოთხოვნებმა, რომლებიც ასახავს ინტერპერსონალურ და კომუნიკაციის უნარებს, შესაძლოა ზოგიერთ სტუდენტს ხელი შეუშალოს კარგი ქულების მიღებაში კონკრეტულ კურსებში, თუმცა არა ჩვენ მიერ ჩამოთვლილ კურსებში. შესაბამისად, თუ სტუდენტს არ აქვს ეს პიროვნული უნარები, მან შეიძლება დაკარგოს 10-15 ქულა და, მიუხედავად სხვა აქტივობებში მაღალი ქულების მიღებისა, მაინც ვერ მიიღოს „ფრიადი“ (A). შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას ტოვებს უცვლელად.

სტანდარტი 2.4

- უნივერსიტეტმა კომენტარი გააკეთა ზოგად რეკომენდაციაზე: „რეკომენდებულია, სილაბუსებში პრეზენტაციისთვის მინიჭებული შეფასების წონა შესწორდეს იმგვარად, რომ, უზრუნველყოფილი იყოს ქულების თანაბარი განაწილება შეფასების სხვა კრიტერიუმებთან მიმართებაში“ და განაცხადა, რომ „სასწავლო კურსები ფასდება 100 ქულით. მითითებულ კურსებში სტუდენტის აქტივობა და პრეზენტაცია ფასდება 15 და 10 ქულით, ხოლო დარჩენილი 75 ქულა განკუთვნილია შეფასების სხვა მეთოდებისთვის, როგორებიცაა ქვიზები, შუალედური გამოცდები და ფინალური გამოცდა. შესაბამისად, სტუდენტს ნამდვილად ეძლევა საკუთარი ცოდნის სხვა ფორმით წარმოჩენის შესაძლებლობა.“

ექსპერტთა ჯგუფი ამას შემდეგნაირად პასუხობს: არგუმენტი, რომ სტუდენტებს ქულების დაგროვება სხვა აქტივობების საფუძველზე შეუძლიათ, პრობლემას ვერ აღმოფხვრის, რადგან ისეთი საგნები, როგორიცაა კვლევის მეთოდები ან კოგნიტური ფსიქოლოგია, არ საჭიროებს პრეზენტაციის უნარს, როგორც აუცილებელ პირობას. ამიტომ, არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად რომ ამ მიზეზით სტუდენტს 10-15 ქულა დააკლდეს. რაც შეეხება პიროვნულ მახასიათებლებს, აღწერილობები, როგორიცაა „კარგად საუბრობს“ ან „კონტაქტს ამყარებს აუდიტორიასთან“ და ა.შ. ასახავს ინტერპერსონალურ და კომუნიკაციის უნარებს, რომლებიც აუცილებელია ზოგიერთ საგანში, თმცა არა ჩვენ მიერ ჩამოთვლილში. შესაბამისად, თუ მოსწავლეს არ აქვს ეს პიროვნული უნარები, მან შეიძლება დაკარგოს 10-15 ქულა და, მიუხედავად სხვა აქტივობებში მაღალი ქულების მიღებისა, მაინც ვერ მიიღოს „ფრიადი“ (A). შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უცვლელად ტოვებს.

სტანდარტის აღწერილობითი ნაწილი გვ 30-31

უნივერსიტეტმა ასევე კომენტარი გააკეთა ანგარიშის აღწერილობითი ნაწილების ასპექტებზე, სადაც პლაგიატის პრევენცია და გამოვლენა განიხილებოდა. უსდ-მ აღნიშნა: „დასკვნის პროექტში განხილულია პლაგიატის პროცენტული მაჩვენებლის მითითების საკითხი. შემდგომ დისკუსიებში ჩვენ სრულად ვეთანხმებით ექსპერტებს, თუმცა დასკვნის პროექტი, არ ასახავს იმას, რომ ექსპერტების მიერ წამოჭრილი საკითხები გათვალისწინებულია IBSU-ში პლაგიატის შეფასებისას. და ვინაიდან ანგარიში არის ღია და საჯაროდ გამოქვეყნებული დოკუმენტი, მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ამ საკითხზე კომენტარების გაკეთებაც.“

ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს ამ ფაქტს და ტექსტში ცვლილებები შეიტანა უნივერსიტეტის მიერ ნახსენები პუნქტების ჩასამატებლად.

რეკომენდაცია 4.4 (1):

უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ სტუდენტებს აქვთ წვდომა აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე და რომ სტუდენტებსა და პერსონალს უტარებენ შესაბამის ტრენინგებს. ადგილზე ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ ცოტა ხნის წინ ჩატარდა ტრენინგი აკადემიური პერსონალისთვის. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა როგორც სტუდენტებს, ისე მომიჯნავე პროგრამების კურსდამთავრებულებს და რამდენადაც მათ აღნიშნეს, რომ არ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია, შემუშავდა რეკომენდაცია. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცოდნენ, რომ ასეთი ბაზები არსებობს, მაგრამ განმარტეს, რომ უკეთესი იქნებოდა, რომ ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები ჩატარებულიყო. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას ტოვებს უცვლელად.

რეკომენდაცია 4.4 (2):

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი ეწვია ბიბლიოთეკას და მოითხოვა სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის სიიდან შემთხვევითობის პრინციპით არჩეული სახელმძღვანელოს მოძიება. როგორც გაირკვა, ყველა მოთხოვნილი წიგნი ელექტრონული ასლის სახით იყო წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის ამჟამინდელი სტანდარტები არ განსაზღვრავს, თუ რა ფორმით უნდა იყოს წიგნები მოწოდებული, სტუდენტების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წიგნების თითო ბეჭდური ვერსიის უზრუნველყოფას დადებითი გავლენა ექნება. ყველა სტუდენტს არ აქვს პერსონალური კომპიუტერი ელექტრონული ასლების წასაკითხად. ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას ტოვებს უცვლელად.

რეკომენდაცია 4.4 (3):

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ბიბლიოთეკის კატალოგი, რათა მოეძიებინა ინფორმაცია სავალდებულო ლიტერატურის შესახებ. სამწუხაროდ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულ ელექტრონული კატალოგში არცერთი წიგნი არ იყო ხელმისაწვდომი. უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის მიღების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა ხელახლა გადაამოწმა ელექტრონული კატალოგი იმ იმედით, რომ იქ წიგნები დაემატებოდა, თუმცა, სამწუხაროდ, ისინი კვლავ არ არის ხელმისაწვდომი. მაგალითად, შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა შემდეგი სავალდებულო წიგნები – თვისებრივი კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში; მონაცემთა თვისებრივი ანალიზი Nvivo- თი ; განვითარების ფსიქოლოგია (ქართულ ენაზე). უფრო მეტიც, ვებ-გვერდზე არის კურსის რიდერების განყოფილება, მაგრამ პროფესორ დორეულის რიდერი, რომელიც ერთადერთი და სავალდებულო მასალაა სილაბუსში, არ იძებნება. ბიბლიოთეკისა და ინფორმაციული მეცნიერებების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, უნივერსიტეტის ელექტრონული კატალოგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ყველა რესურსის შესახებ. ეს მხოლოდ დადებითად აისახება სასწავლო პროგრამების განვითარებაზე. ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას ტოვებს უცვლელად.

რეკომენდაცია 4.4 ქართულენოვანი პროგრამისთვის

უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ ქართულენოვან პროგრამაზე მხოლოდ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების არსებობა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ამ კურსების წინაპირობა პროფესიული ინგლისურია. ექსპერტთა ჯგუფი ინფორმირებული იყო ამ ფაქტის შესახებ, თუმცა პრობლემა ის არის, რომ არსებობს პროფესიული ინგლისური I და პროფესიული ინგლისური II, ამ სამი კურსის წინაპირობა კი მხოლოდ პროფესიული ინგლისური I-ია. თუკი სტუდენტი ამ კურსს მხოლოდ მინიმალური კომპეტენციით დახვს, იქნება ეს საკმარისი იმისთვის, რომ მან მომდევნო კურსებზე სრულად ინგლისურენოვანი საკითხავი მასალების კითხვა შეძლოს?! ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას ტოვებს უცვლელად.

რეკომენდაცია 4.4. ინგლისურენოვანი პროგრამისთვის

უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ დამატებითი ლიტერატურა საერთოდ არ არის პრობლემა და ვერ ხედავენ მოცემული რეკომენდაციის მიზეზს. ექსპერტთა ჯგუფმა იცის, რომ დამატებითი საკითხავი რესურსები არ წარმოადგენს სტუდენტებისთვის სავალდებულო საკითხავს, თუმცა, თუ პროგრამა მიიღებს 5 ქართულენოვან სტუდენტს და ხუთ უცხოელს - ქართველი სტუდენტებისთვის სილაბუსებში დამატებითი ლიტერატურა იქნება ხელმისაწვდომი, უცხოელებისთვის კი არა. ამიტომ, რეკომენდებულია სიის განახლება პროგრამების სამიზნე ჯგუფების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას ტოვებს უცვლელად.

რეკომენდაცია 5.2

უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ გარე კოლეგიური შეფასებისთვის კრიტერიუმების შემუშავება არ არის ფართოდ დამკვიდრებული პრაქტიკა. ექსპერტთა ჯგუფი ინფორმირებულია ამ მექანიზმების შესახებ, უფრო მეტიც, სასწავლო პროგრამებისთვის ასეთი შეფასების ჩატარება სავალდებულო არ არის, მაგრამ თუ უნივერსიტეტი გადაწყვეტს მის ჩატარებას, შეფასების ეფექტურობა უნდა იყოს გარანტირებული. როგორც ანგარიშშია აღწერილი, მოცემული შეფასება ნამდვილად არ ასახავს რაიმე რეკომენდაციას ან წინადადებას. ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას ტოვებს უცვლელად.

აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომის გამოყენებით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴
2. კლასტერული შეფასება⁵

⁴ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან.

სტანდარტი/კომპონენტი:	შეფასების მიდგომები:
1. . საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური

ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ორივე პროგრამის მიზნები სასწავლო სფეროს რელევანტურია და იძლევა განსაკუთრებით მოქნილ და ფართო მიმოხილვას თემატური სფეროების ფართო ნაკრების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე ფსიქოლოგიურ მეცნიერებასთან. სასწავლო პროგრამები შეესაბამება შსს-ის მისიას, ამოცანებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამებში გამოყენებული სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები მრავალფეროვანია და მომავალ სტუდენტებს კომპეტენციების ჩამოყალიბების მრავალ გზას სთავაზობს.

პროგრამულ დონეზე სასწავლო მიზნები აღწერილია უმაღლესი განათლების პროგრამების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) შესაბამისი კვალიფიკაციის თანახმად. პროგრამის აღწერა შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ პროგრამის კურსდამთავრებულებს წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამები შემუშავებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის ანალიზზე და შრომის საერთაშორისო ბაზრის საჭიროებებზე დაყრდნობით - როგორც ეს განსაკუთრებულად ჩანს ინგლისურენოვან პროგრამაში, სადაც ინგლისური ენის ცოდნა მნიშვნელოვანი ფაქტორია ადგილობრივი შრომის ბაზრისთვის და იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ საზღვარგარეთ მუშაობა. ინგლისურ ენაზე ფოკუსირება ასევე ხელს უწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას და უნივერსიტეტის მისწარმევას ჩაერთოს საერთაშორისო თანამშრომლობაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი (ქართულენოვანი))

ორი პროგრამა თითქმის იდენტურია სტრუქტურითა და ფორმით, გარდა ენის მოთხოვნებისა. ქართული ენის პროგრამის პროექტი სასწავლო სფეროს რელევანტურია და შესაბამისი დონისაა. სასწავლო პროგრამის მიზანი ლოგიკურად აისახება სწავლის შედეგებში, ხოლო სწავლის შედეგები ცალკეულ კურსებში არსებული სწავლის შედეგების მკაფიოდ გამოხატულ ფუნქციას წარმოადგენს. როგორც ასეთი, ის აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

ორი პროგრამა თითქმის იდენტურია სტრუქტურით და ფორმით, გარდა ენის მოთხოვნებისა. ინგლისურენოვანი პროგრამის პროექტი სასწავლო სფეროს რელევანტურია და EQF-ის შესაბამისი დონისაა. სასწავლო პროგრამის მიზანი ლოგიკურად აისახება სწავლის შედეგებში, ხოლო სწავლის შედეგები ცალკეულ კურსებში არსებული სწავლის შედეგების მკაფიოდ გამოხატულ ფუნქციას წარმოადგენს. როგორც ასეთი, ის აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. პროგრამა 1 და პროგრამა 2 შორის მთავარი განსხვავება არის სწავლების ენა და კურიკულუმი. ადმინისტრაციასთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ ინგლისური ენის ცოდნა სასწავლო პროგრამის მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელსაც აქვს (მინიმუმ) ორი დადებითი ეფექტი: 1) ინგლისური ენის ცოდნა არის კომპეტენცია, რომლებსაც ითხოვენ დამსაქმებლები როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ და 2) ის მხარს უჭერს IBSU-ში სასწავლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას (კვლევით თანამშრომლობაში ჩართულობას, Erasmus+ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას და სხვ) და კურსდამთავრებულებს სძენს მეტ უნარს, ჩაერთონ საქართველოს მიღმა, მსოფლიო მასშტაბით კომუნიკაციებში, რაც საზღვრებს გარეთ შემდგომი თანამშრომლობის დამყარების საშუალებას იძლევა. ამის საფუძველზე პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, კომიტეტი იძლევა რჩევას - ის ფაქტი, რომ პროგრამა ისწავლება ინგლისურ ენაზე, წარმოდგენილი იქნას, როგორც ფსიქოლოგიის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის კონკრეტულად გაცხადებული მიზანი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კურსის გეგმები
- თვითშეფასების ანგარიში
- დოკუმენტი „შრომის ბაზრის ანალიზი (2022–2023 წლები)“
- გასაუბრება დამსაქმებლებთან
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- გასაუბრება მსგავსი პროგრამების სტუდენტებთან
- გასაუბრება მსგავსი პროგრამების კურსდამთავრებულებთან
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2 (ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

რჩევები:

- სასურველია, ფსიქოლოგიის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამას დაემატოს მე-6 მიზანი, რომელიც აღწერს მიზანს, თუ რისთვის შეიქმნა ახალი ინგლისურენოვანი პროგრამა.

შეფასება⁶

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

ფსიქოლოგიის ორი პროგრამა დაჯგუფებულია კლასტერში ქართულენოვანი პროგრამით (პროგრამა 1) და ინგლისურენოვანი პროგრამით (პროგრამა 2). ორ პროგრამას აქვს იდენტური აღწერა და სწავლის საერთო შედეგები. ამრიგად, ეს ნაწილი დაიწერება ორივე პროგრამისთვის ერთად.

პროგრამების სწავლის შედეგები არის პროგრამების მიზნების ბუნებრივი ოპერაციონალიზაცია და მოიცავს უნარებს, ცოდნას, ავტონომიას და პასუხისმგებლობებს, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო სფეროსთან. პროგრამების სტრუქტურა უზრუნველყოფს ყველა დასახული მიზნის მრავალჯერადად მიღწევას, ხოლო სტუდენტები მიიღებენ მზარდ ცოდნას პროგრამით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. საერთო ჯამში, პროგრამების სწავლის შედეგები ფსიქოლოგიის პირველი საფეხურის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისია.

პროგრამების სასწავლო მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, მათი შეფასება კი შესაძლებელია სწავლებისა და შეფასების მეთოდებით, რომლებიც მოცემულია პროგრამების აღწერილობებში. პროგრამების სწავლის შედეგები რელევანტურია ზოგადი ფსიქოლოგიის საგნობრივი სფეროსთვის და შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებად, როგორც ეს აღწერილია პოტენციური დამსაქმებლების მიერ და მოცემულია შრომის ბაზრის ანალიზში. პროგრამების სასწავლო მიზნები შეესაბამება მომავალი დამსაქმებლების მოლოდინებს, ხოლო პროგრამები სტუდენტებს საშუალებას მისცემს სწავლა გააგრძელონ მეორე საფეხურის, სამაგისტრო დონის ფსიქოლოგიის პროგრამაზე.

პროგრამულ დონეზე სასწავლო მიზნები აღწერილია უმაღლესი განათლების პროგრამების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) შესაბამისი კვალიფიკაციის თანახმად. პროგრამის აღწერა ასევე შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ პროგრამის კურსდამთავრებულებმა წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში.

პროგრამის სწავლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია, ხოლო სწავლის შედეგები გაზიარებულია და შეთანხმებულია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის.

ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, მომავალი სტუდენტები და პოტენციური დამსაქმებლები ჩართულნი იყვნენ პროგრამების შემუშავებაში, დაინტერესებული მხარეები კი ინფორმირებულები იყვნენ პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ. ყველა სიახლე საჯაროდ გავრცელდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სოციალურ ფორუმებზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი (ქართულენოვანი)

პროგრამის სწავლის შედეგები რელევანტურია და ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს. სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის მიზნები შემუშავებულია შრომის ბაზრის ანალიზის მიხედვით და საშუალებას აძლევს სტუდენტებს გააგრძელონ სწავლა მეორე საფეხურის, სამაგისტრო დონის ფსიქოლოგიის პროგრამაზე. სწავლის შედეგები კვლევის სფეროს სპეციფიკის შესატყვისია. დაინტერესებული მხარეები ჩართულნი იყვნენ პროგრამის ჩამოყალიბებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი

პროგრამის სწავლის შედეგები რელევანტურია და ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს. სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის მიზნები შემუშავებულია შრომის ბაზრის ანალიზის მიხედვით და საშუალებას აძლევს სტუდენტებს გააგრძელონ სწავლა მეორე საფეხურის სამაგისტრო დონის ფსიქოლოგიის პროგრამებზე. სწავლის შედეგები კვლევის სფეროს სპეციფიკის შესატყვისია. დაინტერესებული მხარეები ჩართულნი იყვნენ პროგრამის ჩამოყალიბებაში. ინგლისური ენის პროგრამა ასევე უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ დამატებითი ენობრივი კომპეტენცია, რომელიც მიმზიდველია ეროვნული და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის, რაც ამარტივებს სტუდენტებისთვის სწავლის შემდგომ გაგრძელებას ან საზღვარგარეთ დასაქმებას. მიზანშეწონილია, რომ ეს დამატებითი ძლიერი მხარე დაემატოს ფსიქოლოგიის (ინგლისურენოვანი) პროგრამის სწავლის შედეგებს, რათა კიდევ უფრო წარმოაჩინოს განსხვავებები ფსიქოლოგიის მოცემულ ორ პროგრამას შორის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2: ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი

რჩევები:

- სასურველია, ფსიქოლოგიის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამას დაემატოს დამატებითი სასწავლო მიზანი, რომელიც დეტალურად აღწერს ინგლისური ენის ცოდნის მნიშვნელობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა და სილაბუსები.
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- გასაუბრებები ადმინისტრაციულ პერსონალთან
- გასაუბრებები დაკავშირებული პროგრამების სტუდენტებთან
- გასაუბრებები აკადემიურ პერსონალთან
- თვითშეფასების დოკუმენტი
- გასაუბრებები სამომავლო დამსაქმებლებთან

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფაილი „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია“ აღწერს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს, დეტალურადაა აღწერილი ადმინისტრაციული პროცესი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს პროგრამების შეფასება და აღწერილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ოთხი ეტაპი: 1) პროგრამების სწავლის შედეგების განსაზღვრა; 2) კურიკულუმების ანალიზი; 3) პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება; 4) პროგრამების გაუმჯობესების მიზნით შეფასების შედეგების გამოყენება. ეს დოკუმენტი ასევე აღწერს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების/ზღვრების დადგენას. ბენჩმარკინგი შემუშავებულია სხვა პროგრამებთან შედარებით და ეს ნიშნულები გამოყენებული იქნება სასწავლო პროგრამების შეფასებისას. პირველი შეფასების ციკლის შემდეგ ეს ნიშნულები განახლდება და შემდეგ გამოყენებული იქნება შეფასების შემდეგი ციკლისთვის.

პროგრამები შემუშავებული იქნა ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალისა და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობით, ასევე ჩართული იყვნენ სტუდენტები მსგავსი პროგრამებიდან და პოტენციური დამსაქმებლები, რომლებმაც შეიძლება წვლილი შეიტანონ პროგრამების განვითარებაში. პროგრამების შემუშავებისას საგანმანათლებლო პროგრამების პროექტების შესაფასებლად გამოყენებული იქნა გარე შემფასებლები.

თვითშეფასებაში აღწერილია მიღწეულია თუ არა პროგრამების სწავლის შედეგები, და ეს მიღწევა ხდება პირდაპირი თუ არაპირდაპირი მეთოდებით. პირდაპირი მეთოდები მოიცავს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებას კურსის განმავლობაში და ამ შედეგების სტატისტიკურ ანალიზს.

არაპირდაპირი მეთოდები მოიცავს დამსაქმებლების, პრაქტიკის დაწესებულებების წარმომადგენლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვას, ასევე სასწავლო გეგმის ანალიზს და მსგავს პროგრამებთან შედარებას.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ ისინი გათვითცობიერებულები არიან პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების პროცედურების თაობაზე. სამომავლო დამსაქმებლებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან პროგრამების სწავლის შედეგების შესახებ და დაინტერესებულნი - თანამშრომლობით, რათა შეაფასონ სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია
- თვითშეფასება
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

თვითშეფასების პაკეტი, ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი პროგრამისა და სილაბუსის ჩათვლით, აჩვენებს, რომ ფსიქოლოგიის სავალდებულო და არჩევითი კურსები ორივე პროგრამისთვის იდენტურია. კურსები მოიცავს სულ 240 ECTS კრედიტს - პირველი საფეხურის საბაკალავრო პროგრამის

ეროვნული და ევროპული მოთხოვნების შესაბამისად. ორი პროგრამა მოიცავს 10 ECTS-ს (2 x 5 ECTS) ფსიქოლოგიურ ქვედისციპლინებში (სოციალური, განმავითარებელი, შემეცნებითი და პიროვნების ფსიქოლოგია), ასევე 10 ECTS ფსიქოლოგიის საფუძვლებში და რიგ სხვა კურსებს კვლევის მეთოდებში, მონაცემთა ანალიზისა და კლინიკური ფსიქოლოგიაში. ერთიანობაში, სავალდებულო კურსები კარგად ცოდნას იძლევა თანამედროვე ფსიქოლოგიის სფეროში საბაკალავრო დონეზე, რაც შეესაბამება და შედარებულია ევროპის უნივერსიტეტების სხვა საბაკალავრო პროგრამებთან.

არჩევითი კურსები მოიცავს რამდენიმე თემას, რომლებიც წარმოადგენს სავალდებულო კურსების გაგრძელებას (როგორც ეს ჩანს ინგლისური და ქართული პროგრამის აღწერილობის წინაპირობების ცხრილიდან). ბევრ კურსს წინაპირობად აქვს სოციალური ფსიქოლოგია 2, ხოლო კოგნიტური ფსიქოლოგია 2, განვითარების ფსიქოლოგია 2 და პიროვნების ფსიქოლოგია 2 გაცილებით ნაკლები კურსის წინაპირობაა, რაც მიუთითებს ამ პროგრამებში სოციალური ფსიქოლოგიის მიმართ ფოკუსირებაზე. სავალდებულო და არჩევითი კურსების ერთობლიობა სტუდენტებს კარგ ცოდნას აძლევს ფსიქოლოგიის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ, რაც საკმარისია ფსიქოლოგიის ბაკალავრისთვის. პროგრამებს ასევე აქვს რამდენიმე არჩევითი კურსი, რაც ხელს უწყობს პროგრამების ინდივიდუალურობას.

როგორც ქართულენოვანი (პროგრამა 1, ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი), ისე ინგლისურენოვანი (პროგრამა 2, ფსიქოლოგია (ინგლისურად) ბაკალავრიატი) პროგრამის სწავლის შედეგების რუკიდან ნათელი ხდება, რომ კურსები ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს ცოდნის წარდგენას, გაღრმავებასა და განმტკიცებას (სწავლებას) სწავლის ყველა შედეგისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება ფსიქოლოგიის ბაკალავრის განათლებას. პროგრამებში გამოყენებულია სწავლებისა და შეფასების მეთოდების ფართო სპექტრი, ხოლო კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებს შორის კავშირი ლოგიკურია, რაც კარგად იყო ახსნილი და არგუმენტირებული ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შეხვედრებზე.

რაც შეეხება ცალკეულ კურსებში მოქმედ სასწავლო პროგრამების სტრუქტურასა და ლოგიკას, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ რამდენიმე ცალკეულ კურსს ჰქონდა ძალიან მსგავსი ან იდენტური სწავლის შედეგები (LOs). ეს განსაკუთრებით ეხება ინგლისურენოვან პროგრამას, სადაც განვითარების ფსიქოლოგია 1 და 2-ს აქვთ იდენტური სწავლის შედეგები, ისევე როგორც ფსიქოლოგიის საფუძველი 1-ს და 2-ს და პიროვნების ფსიქოლოგია 1-ს და 2-ს.

ორივე პროგრამის შემთხვევაში გამოვლინდა, რომ კოგნიტურ ფსიქოლოგია 1-ს და 2-ს ჰქონდათ კურსის იდენტური მიზნები, პასუხისმგებლობები და ავტონომია, ხოლო უნარები თითქმის იდენტური იყო; კოგნიტურ ფსიქოლოგია 1-ს ჰქონდა მხოლოდ ერთი განსხვავებული უნარი: „მსჯელობს კლასიკურ კვლევებსა და გამოყენებულ მეთოდებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია კოგნიტური ფსიქოლოგიის, ყურადღების, მეხსიერების და აღქმის პროცესების შესწავლაში.“ კვლევის მეთოდებს 1-ს და 2-ს აქვთ

ნაწილობრივ მსგავსი აღწერა ცოდნასა და გაცნობიერებაზე, ხოლო უნარები, პასუხისმგებლობები და ავტონომია იდენტურია.

ამგვარად, რამდენიმე კურსის სწავლის შედეგები იმდენად მსგავსი ან იდენტური იყო, რომ ძალიან რთული იქნებოდა ამ კურსების ცალ-ცალკე განხილვა სწავლის შედეგების თვალსაზრისით. საჭიროა, თითოეულ ინდივიდუალურ კურსს ჰქონდეს სწავლის შედეგები, რომლებიც აშკარად განსხვავდება სასწავლო პროგრამის სხვა კურსებისგან - მიუხედავად იმისა, რომ ეს კურსები შეიძლება ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენდეს. თუ სხვადასხვა კურსს, სხვადასხვა სასწავლო გეგმითა და გამოცდებით, ერთი და იგივე სწავლის შედეგები ექნება, მაშინ ვერ ვიტყვით, რომ ამ კურსებს ინდივიდუალური წვლილი შეაქვთ აკადემიურ ხარისხის მიღწევაში.

თვითშეფასების დოკუმენტისა და ინტერვიუების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია შზსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცედურებისა და რეგულაციების შესაბამისად. პროგრამები შემუშავდა ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანამშრომლობითი პროცესის შედეგად, ასევე მსგავსი სასწავლო პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობით. სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი)

ქართულენოვან პროგრამაში ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის მნიშვნელობაზე აქცენტირება, პროგრამა 1 და 2 –ის სტუდენტებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობას იძლევა და ამარტივებს ამ პროცესს. ქართველი სტუდენტების მიერ ინგლისური ენის ცოდნის ამაღლება ასევე ხელს უწყობს განათლების ინტერნაციონალიზაციას, სტუდენტთა და მასწავლებელთა გაცვლასა და კვლევით თანამშრომლობას შზსუ-ში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი) ბაკალავრიატი)

ის ფაქტი, რომ საქართველოში მხოლოდ რამდენიმე სხვა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაა, განაპირობებს მე-2 პროგრამის ინდივიდუალურობას: საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამა. პროგრამა მხარს უჭერს ინტერნაციონალიზაციას, რაც ადმინისტრაციასთან შეხვედრის დროს დასახელდა ინგლისურენოვანი პროგრამის მიზნად თვითშეფასების დოკუმენტში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კურსებს გააჩნდეთ განსხვავებული სწავლის შედეგები.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, რომ ყველა კურსის სწავლის შედეგებში კატეგორიები „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ შევსებული ჰქონდეს ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-6 დონის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრება დამსაქმებლებთან
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრება მოწვეულ პერსონალთან
- პროგრამა და სილაბუსები
- თვითშეფასების დოკუმენტი (ები)
- პროგრამის აღწერილობა (ები)

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)	☐	X	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამების სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი კურსების უმეტესობა მოიცავს 5 ECTS. თითოეული პროგრამის შინაარსი საბაკალავრო პროგრამების შესაბამისი დონისაა ხოლო სწავლება–სწავლის აქტივობებისთვის გამოყოფილი საათები საკმარისია ცალკეული კურსების სწავლის შედეგების

მისაღწევად, რაც დასტურდება პროგრამისა და კურსის აღწერილობით. კურსებს აქვთ შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც საკმარისია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად; იგი ეფუძნება ფსიქოლოგიის მეცნიერების ბოლოდროინდელ გაგებას და ევროპის სხვა უნივერსიტეტებში გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისია.

როდესაც საქმე ეხება ინდივიდუალური კურსების სწავლის შედეგებს, აღმოვაჩენთ, რომ ორივე სასწავლო პროგრამის ყველა კურსს აქვს სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება EQF მე-6 დონის პირველი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს. თუმცა, ზოგიერთ კურსში სწავლის შედეგები არ იყოფა კატეგორიებად „უნარები“, „ცოდნა“, „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“. თითოეულ კურსზე გამოყოფილი ECTS კრედიტები შეესაბამება სწავლის შედეგებს, სასწავლო აქტივობებს და შეფასების მეთოდებს, ხოლო სწავლების/ინდივიდუალური მუშაობისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა შეესაბამება ყველა კურსისთვის არსებულ წესებს, როგორც ეს მითითებულია ორი პროგრამის აღწერილობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა კურსი შეესაბამება ევროპული საკვალიფიკაციოს ჩარჩოს სწორ დონეს, აკრედიტაციის კომიტეტს აქვს გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები სწავლის ზოგიერთი შედეგის და/ან კურსის გეგმის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

ორივე პროგრამის ერთ-ერთი გამოწვევაა კურსების ნაკლებობა გამოყენებითი ქცევის ანალიზში. დამსაქმებლები, რომლებიც ესწრებოდნენ ჩვენს შეხვედრებს, მუშაობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, სადაც გამოყენებითი ქცევის ანალიზი განსაკუთრებით საინტერესო და პრაქტიკული იქნებოდა სტუდენტებისთვის. ეს მოსაზრება განამტკიცა პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუებმა – მიუხედავად იმისა, რომ მათი საჭიროება გამოყენებითი ქცევის ანალიზისადმი ცვალებადი იყო, შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ პროგრამაში გამოყენებითი ქცევის ანალიზის კურსის განხორციელება სასარგებლო იქნება პროგრამის მიზნების მისაღწევად ფიზიკურად ან გონებრივი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან და მოზარდებთან პრაქტიკული მუშაობის თვალსაზრისით.

კიდევ ერთი ზოგადი გამოწვევაა ის, რომ კურსის რამდენიმე გეგმა მოიცავს სწავლის მსგავს/იდენტურ შედეგებს, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შესახებ ინფორმაციის სიმწირეს, ასევე სწავლის შედეგებში არასათანადო ინფორმაციას. ზოგადი რეკომენდაციაა, რომ ორივე სასწავლო პროგრამის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ყველა სასწავლო შედეგის სწორად გაწერა, რომ ყველა კურსში ნახსენები იყოს სწავლის შედეგები, და რომ ყველა კურსს ჰქონდეს მკაფიოდ განსხვავებული სწავლის შედეგები. ქვემოთ ვაზუსტებთ თითოეულ სასწავლო პროგრამაზე მოძიებულ ინფორმაციას, მაგრამ რადგან ორივე პროგრამის დასკვნები ძალიან მსგავსია, ვარჩიეთ გაგვეცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც ორივე სასწავლო პროგრამისთვის შესაფერისია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი)

ორ პროგრამაში არსებული კურსების მსგავსებამ აჩვენა, რომ ქართულენოვან პროგრამაში კურსების კომბინაცია და მათი სწავლის შედეგები შესაფერისია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. თუმცა, არსებობს გარკვეული გამოწვევები:

აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ინდივიდუალურ კურსს ჰქონდა ძალიან მსგავსი ან იდენტური სწავლის შედეგები (LOs). როგორც ნაჩვენებია ქვესტანდარტში 1.4 ამგვარად, რამდენიმე კურსის სწავლის შედეგები იმდენად თანმხვედრი იყო, რომ ძალიან რთული იქნება ამ კურსების ცალ-ცალკე განხილვა სწავლის შედეგების თვალსაზრისით. საჭიროა, რომ თითოეულ კურსს ჰქონდეს ინდივიდუალური სწავლის შედეგები, რომლებიც აშკარად განსხვავდება სასწავლო პროგრამის სხვა კურსებისგან - მიუხედავად იმისა, რომ ეს კურსები შეიძლება ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენდეს.

კოგნიტური ფსიქოლოგია 1 და 2 კურსებს აკლდა პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის აღწერილობა კურსის აღწერილობაში. ზოგიერთ კურსში გამოიყენება ერთი და იგივე ზოგადი გამოთქმა „სწავლის დროს იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების წესებს“, რაც კონკრეტულად არ არის დაკავშირებული კურსების სპეციფიკასთან. შედარებისთვის, ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF) მე-6 დონეზე (პირველი საფეხურის უმაღლესი განათლება) პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში ვხვდებით შემდეგ ტექსტს: „მართავს რთულ ტექნიკურ ან პროფესიულ აქტივობებს ან პროექტებს, პასუხისმგებლობას იღებს გადაწყვეტილების მიღებაზე არაპროგნოზირებად სამუშაო ან სასწავლო კონტექსტში; პასუხისმგებლობას იღებს ინდივიდებისა და ჯგუფების პროფესიული განვითარების მართვაზე“. რეკომენდებულია, ორივე სასწავლო პროგრამის ყველა კურსმა ჩამოთვალოს მოსალოდნელი პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შესაბამისი აღწერილობა, რომლის მიღწევაც შესაძლებელია ინდივიდუალური კურსის გავლისას.

კიდევ ერთი უმნიშვნელო გამოწვევა, რომლის გამოსწორება მარტივი უნდა იყოს, არის სწავლის შედეგების არევა კურსში „კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1“, სადაც სწავლის შედეგების სათაურები არეული იყო სწავლის შედეგების შინაარსში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი) ბაკალავრიატი)

ინგლისურენოვან პროგრამაში კურსების ერთობლიობა და მათი სწავლის შედეგები შეეფერება პროგრამის სწავლის შედეგებს. თუმცა, არსებობს გარკვეული გამოწვევები:

ზოგიერთ კურსში, რომლებიც ერთმანეთის გაგრძელებაა, სწავლის შედეგები იდენტურია, მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურ კურსებს აქვთ ცალკე დასკვნითი გამოცდები. ეს მოსაზრება უფრო ფართოდ განხილულია ქვესტანდარტში 1.4. ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 და 2-ის სწავლის შედეგები იდენტური იყო, განვითარების ფსიქოლოგიის 1 და 2-ის სწავლის შედეგები იდენტური იყო, ასევე იდენტური იყო პიროვნების ფსიქოლოგიის სწავლის შედეგები. კურსებს „ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 1 და 2“ ჰქონდათ იდენტური უნარები, პასუხისმგებლობები და ავტონომია. კოგნიტურ ფსიქოლოგია 1-ს და 2-ს ჰქონდათ იდენტური პასუხისმგებლობები და ავტონომია, ხოლო უნარები თითქმის იდენტური იყო; კოგნიტურ ფსიქოლოგია 1-ს ჰქონდა მხოლოდ ერთი განსხვავებული უნარი: „მსჯელობს კლასიკურ კვლევებსა და გამოყენებულ მეთოდებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია კოგნიტური ფსიქოლოგიის, ყურადღების, მეხსიერების და აღქმის პროცესების შესწავლაში.“ ვინაიდან ეს არის ძირითადი კურსი, რომელსაც აქვს დამატებითი – და უფრო მეტად საბაზისო სწავლის შედეგი, რთულია იმის დანახვა თუ როგორ შეიტანს კოგნიტური ფსიქოლოგია 2-ის სწავლის შედეგები იმაზე

მეტ წვლილს ვიდრე ზემოთ მოცემული დამატებითი სწავლის შედეგი და კოგნიტური ფსიქოლოგია 1-ის საბაზისო კურსი. სხვა პროგრამებში სწავლის შედეგები ძალიან მსგავსია და არ იძლევა მკაფიო განსხვავებას კურსების სწავლის შედეგებს შორის. ზოგადი წესის თანახმად, სწავლის შედეგებში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, თუ კონკრეტულად რა ისწავლება პროგრამაში - რათა მომავალმა აპლიკანტებმა, სტუდენტებმა, დაინტერესებულმა მხარეებმა და სხვებმა გაიგონ, 1) როგორ უკავშირდება თითოეული ცალკეული კურსის მიზანი მთლიან სასწავლო პროგრამას, 2) რა არის თითოეული კურსის უნიკალური წვლილი პროგრამის დონეზე სწავლის შედეგების მიღწევაში, და 3) რას ისწავლიან სტუდენტები რომელიმე ცალკეულ კურსზე.

ზოგიერთ კურსზე არაფერია წერია სწავლის შედეგების კატეგორიებში „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ (მაგალითად, კურსებში კოგნიტური ფსიქოლოგია 1 და 2, პიროვნების ფსიქოლოგია 1 და 2, და განათლების ფსიქოლოგია), ხოლო რამდენიმე სხვა კურსში გამოიყენება ერთი და იგივე ზოგადი ფრაზა „სწავლის დროს იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების წესებს“, რაც კონკრეტულად არ არის დაკავშირებული კურსების სპეციფიკასთან. შედარებისთვის, ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF) მე-6 დონეზე (პირველი საფეხურის უმაღლესი განათლება) პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში ვხვდებით შემდეგ ტექსტს: „მართავს რთულ ტექნიკურ ან პროფესიულ აქტივობებს ან პროექტებს, პასუხისმგებლობას იღებს გადაწყვეტილების მიღებაზე არაპროგნოზირებად სამუშაო ან სასწავლო კონტექსტში; პასუხისმგებლობას იღებს ინდივიდებისა და ჯგუფების პროფესიული განვითარების მართვაზე“. რეკომენდებულია, რომ ორივე სასწავლო პროგრამის ყველა კურსმა ჩამოთვალოს მოსალოდნელი პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შესაბამისი აღწერილობა, რომლის მიღწევაც შესაძლებელია ინდივიდუალური კურსის გავლისას.

კურსის გეგმების შემოწმებისას კომისიამ დაადგინა, რომ სწავლის შედეგებში ტექსტის თანმიმდევრობა და განლაგება არასწორია კურსში „კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1“ და რომ კურსში „სამხედრო ფსიქოლოგია“ არ არის ჩამოთვლილი სწავლის შედეგები კატეგორიაში „ცოდნა“, უნარები“, „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“. ეს მცირე ხარვეზები უნდა გამოსწორდეს, რათა უზრუნველყოფილი იქნას კურსის გეგმების თანმიმდევრულობა ორივე სასწავლო პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების დოკუმენტი
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრება მოწვეულ პერსონალთან
- პროგრამა და სილაბუსები

ზოგადი რეკონდაციები კლასტერის მიმართ:

- რეკომენდებულია, დაემატოს კურსი – „გამოყენებითი ქცევის ანალიზი.“

- რეკომენდებულია, ინდივიდუალურ კურსებს, რომლებიც ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ, ჰქონდეთ მკაფიოდ განსხვავებული სწავლის შედეგები.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, რომ სწავლის შედეგებში (უნარები, ცოდნა, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) ტექსტის სტრუქტურირებაში ან/და განთავსებაში არსებული უმნიშვნელო შეცდომები გამოსწორდეს.

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)	☐	X	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)	☐	X	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლესმა სასწავლებლებმა დაადგინა სტუდენტების ახალ პროგრამებზე მიღების წინაპირობები, რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისია. პროგრამებზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების საფუძველზე. წარმოდგენილ პროგრამებზე დაშვების წინაპირობების აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ითვალისწინებს საბაკალავრო პროგრამებზე მიღების სპეციფიკას.

უმაღლეს სასწავლებელს აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც პროგრამის სპეციფიკას და რესურსებს ითვალისწინებს და სასწავლო პროცესის გამართვას უზრუნველყოფს.

სტუდენტების მიღება პროგრამაზე სტუდენტური გეგმის მეთოდოლოგიის დაცვით ხდება.

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ აკრედიტაციის შემთხვევაში, ჩარიცხვის წინაპირობები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე ინფორმაცია გავრცელდება სოციალური ქსელებითა და ელექტრონული ფოსტით.

თვითშეფასების ანგარიშში ასევე მითითებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს მათემატიკას, ისტორიას ან ბიოლოგიას აბიტურიენტის არჩევანის მიხედვით.

გათვალისწინებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვის წესი. უცხო ქვეყნების მოქალაქეებისთვის პროგრამაში დაშვების პირობები ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://iro.ibsu.edu.ge/en/home>

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი)

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი სავალდებულო საგანია: მათემატიკა ან ისტორია ან ბიოლოგია. გარდა ამისა, აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს გამოცდა ერთ-ერთ შემდეგ უცხოურ ენაში: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

ფსიქოლოგიის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთ სავალდებულო საგანს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმოადგენს: მათემატიკა ან ბიოლოგიის ისტორია. ინგლისურენოვანი სექტორისთვის ინგლისური ენის სავალდებულო ბარიერია 50%+1.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან,
- თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუების შედეგები

შეფასება

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 20-კრედიტიან სავალდებულო პრაქტიკას, რაც სტუდენტის პრაქტიკულ მუშაობას გულისხმობს მენტორის ხელმძღვანელობის ქვეშ. მენტორი არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი. მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკულ კომპონენტს ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს პრაქტიკის ეფექტურობას. პრაქტიკის შეფასება წარმოადგენილია შესაბამისი ანგარიშისა და დოკუმენტების სახით და გაწერილია სილაბუსში. პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის მონიტორინგი რამდენიმე მექანიზმით ხორციელდება – მათ შორის სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვები, სტუდენტები აფასებენ პერსონალის მიერ გამოყენებულ სწავლების მეთოდებს და სხვა კომპონენტებს. შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს სტუდენტების გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემებს

და შედეგებს გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელსა და ადმინისტრაციას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ. პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს გავიგეთ, რომ შეხვედრაზე წარმოდგენილ სამ ორგანიზაციას ჰქონდათ სტუდენტთა პრაქტიკისთვის განსაზღვრული ადგილების დიდი რაოდენობა (20+), მათ შორის სტიპენდიები და ნახევარ განაკვეთზე დასაქმების შესაძლებლობა. თანამშრომლობის ეს ფორმა დაეხმარება სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების პრაქტიკული კომპონენტის მიღწევაში.

სტუდენტებთან გასაუბრების პროცესში დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი აწვდის მათ ინფორმაციას საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ და ხელს უწყობს მათ მონაწილეობას ამ პროგრამებში. მნიშვნელოვანია, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებს საუნივერსიტეტო პროექტებსა და კონფერენციებში, ასევე პარტნიორი ორგანიზაციებისა თუ უნივერსიტეტების მიერ დაგეგმილ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად იწვევს.

ასევე მნიშვნელოვანია არჩევითი კურსების ფარგლებში პრაქტიკული კურსების ჩატარება, როგორცაა განვითარების დარღვევები, განწყობის ფსიქოლოგია, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, ინკლუზიური განათლება, ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია, სტრესის მართვა და ა.შ.

პროგრამები ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას მათი საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში. აღნიშნული კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს კვლევის დაგეგმვის, ჩატარების, კვლევის შედეგების შედგენისა და ანგარიშის დაწერის პრაქტიკული ჩვევები ჩამოუყალიბოს. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში დეტალურადაა აღწერილი კვლევითი ნაშრომის სტრუქტურა, ნაშრომის შესრულების წესები და მოთხოვნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამების აღწერილობები და სილაბუსები
- პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- სახელმძღვანელო საკვლევი ნაშრომისთვის;
- დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები
- პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგები
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრებების შედეგები.

შეფასება

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამა 1 (ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფსიქოლოგიის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა)	X	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამების სილაბუსების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და ძირითადად ითვალისწინებს ბაკალავრიატის საფეხურის სწავლების სპეციფიკას. თეორიული აკადემიური კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საბაკალავრო (პირველ) საფეხურს, კურსების შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სილაბუსებში აღწერილი მეთოდები უმეტესად სტუდენტზეა ორიენტირებული და ითვალისწინებს კურსის შინაარსით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამები მოიცავს სწავლება-სწავლის მრავალფეროვან მეთოდებს: ლექციას, სემინარს/სამუშაო ჯგუფს, პრაქტიკულ სწავლებას, კონსულტაციას, დისკუსიას/ დებატებს, ჯგუფურ მუშაობას, დემონსტრირებას, ახსნას, შემთხვევის ანალიზს.

სილაბუსების შესწავლის საფუძველზე საჭირო გახდა მეტი სიცხადის შემოტანა იმ საგნებთან მიმართებაში, რომლებიც ორი სემესტრის მანძილზე ისწავლება. სწავლება-სწავლის მეთოდები უმეტესად მსგავსია, რაც შეიძლება არ ეწინააღმდეგებოდეს მისაღწევ მიზანს, თუმცა განსხვავება შედეგების მხრივ ნაკლებად მკაფიოა.

ზოგიერთ შემთხვევაში, სილაბუსებში აღწერილი სწავლება-სწავლის მეთოდები ზოგადად არის ფორმულირებული და მეტ სიცხადეს მოითხოვს. ზოგად ფორმულირებაში ვგულისხმობთ, მაგალითად, ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „მასალის შესაბამისი პრაქტიკული სავარჯიშოები“, რომელიც სემინარის აქტივობის ფორმას აღწერს. მნიშვნელოვანია, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები ნათლად იყოს აღწერილი სილაბუსებში.

ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები მოითხოვს უფრო მეტ მოქნილობას და მრავალფეროვნებას სტუდენტთა ინდივიდუალური განსხვავებებისა და საჭიროებების გასათვალისწინებლად. ასევე, სილაბუსით განსაზღვრული სწავლების ფორმა, რომელიც მოიცავს

პრაქტიკულ ან/და ლაბორატორიულ სამუშაოებს, უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამების აღწერილობები და სილაბუსები
- პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- გასაუბრებები პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან
- IBSU -ს სასწავლო პროცესის წესი, მუხლი 31_1).

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სილაბუსებში ნათლად იყოს გაწერილი სწავლის/სწავლების მეთოდები და თავიდან იქნას აცილებული ზოგადი ფორმულირების გამოყენება.
- რეკომენდებულია, სწავლება/სწავლის მეთოდები უფრო მეტად მოერგოს სტუდენტთა საჭიროებებს და ნაკლებად ერთგვაროვანი იყოს.

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება- სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ფსიქოლოგიის (ინგლისურე ნოვანი) საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომლებიც გამჭვირვალეა და შეესაბამება კანონმდებლობას. შპსუ-ის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში სტუდენტების შეფასების ფორმები და მეთოდები წინასწარ არის

ცნობილი და გამჭვირვალეა. სასწავლო კურსების შეფასება რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/პრაქტიკის სილაბუსით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული საერთო კრიტერიუმების დაცვით. კომპონენტების დეტალური აღწერა და განმარტება მოცემულია შესაბამისი კურსის სილაბუსში.

მონათესავე პროგრამების სტუდენტებთან გასაუბრებებმა აჩვენა, რომ დაწესებულებაში არსებობს კარგი პრაქტიკა, კერძოდ, უნივერსიტეტი სტუდენტებს ფორმალურ უკუკავშირს აწვდის სწავლის პროცესის შესახებ. ეს პრაქტიკა ასევე უნდა დაინერგოს ფსიქოლოგიის ახალ პროგრამაში.

მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გაასაჩივროს შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებები შედეგის შეტყობინებებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. უსდ-მ შეიმუშავა სპეციალური ფორმა (R03F99) სააპელაციო პროცედურებისთვის. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ გამოთქვან უკუკავშირი აკადემიური პერსონალის პედაგოგიურ საქმიანობასა და შეფასებაზე სტუდენტების გამოკითხვის გზით, რომელსაც აწვდიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და რომლის შედეგები წარედგინება პროგრამის ხელმძღვანელსა და ადმინისტრაციას, რომელიც შემდეგ ახორციელებს საჭირო ცვლილებებს.

სილაბუსების უმეტესობა ითვალისწინებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ შეფასების კრიტერიუმებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სილაბუსში შეფასების ფორმები დაზუსტებას საჭიროებს. ეს განსაკუთრებით ეხება სემინარის აქტივობის ფორმებს, რომლებიც ხშირად ზოგადად არის ფორმულირებული, და შესაბამისად - შეფასების კრიტერიუმებს.

გარდა ამისა, შემეცნებითი ფსიქოლოგია 1 და შემეცნებითი ფსიქოლოგია 2 სილაბუსებში მოცემული შეფასების კრიტერიუმები გადახრილია აკადემიური ჩარჩოდან და პიროვნული მახასიათებლებით არის განპირობებული. ასევე, იმავე საგნის ფარგლებში სტუდენტის აქტივობასა და პრეზენტაციას ენიჭება შესაბამისად 15 და 10 ქულა, რაც საერთო ჯამში, განაწილების მხრივ, საკმაოდ მაღალია და შეფასების ერთ განზომილებას ქმნის. ამიტომ, თუ სტუდენტს არ გააჩნია პრეზენტაციისა და აქტიური მონაწილეობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, მას არ ეძლევა ცოდნის სხვა ფორმით დემონსტრირების შესაძლებლობა. იმ საგნების შემთხვევაში, რომლებსაც არ სჭირდება პრეზენტაციისა და აქტივობის უნარები, სასურველია, რომ ერთგანზომილებიან შეფასებას არ ჰქონდეს ასეთი მაღალი ქულა. იგივე ეხება პიროვნების ფსიქოლოგია 1 და პიროვნების ფსიქოლოგია 2 სრულ შეფასების კომპონენტებს, აგრეთვე „ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლებს“ - აქტივობა 10 ქულა, პრეზენტაცია 10 ქულა, ხოლო კურსში „სტატისტიკური მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ - აქტივობა 10 ქულა, პრეზენტაცია 15 ქულა.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებების დროს ნათლად გაჟღერდა, რომ შეფასებას აკეთებდა ერთი (და მხოლოდ ერთი) ლექტორი. მხოლოდ ერთი პირის მიერ გამოცდის შეფასება ქმნის გამოწვევას შეფასების პროცედურის ინტერსუბიექტური ნორმატივის თვალსაზრისით. მეორეს მხრივ, პროგრამის ყველა კურსში გამოიყენება შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა შეფასების სხვადასხვა მეთოდით (მაგ. ზეპირი პრეზენტაცია, წერილობითი გამოცდები, გაკვეთილზე მონაწილეობა), რაც გარკვეულწილად ამცირებს ერთი ლექტორის შესაძლო სუბიექტურ გავლენას. ამის მიუხედავად, პროგრამამ ზოგჯერ უნდა მიმართოს გარე გამომცდელს, რადგან ეს ხელს შეუწყობს შეფასების პროცედურის ხარისხისა და სისწორის კონტროლს.

ინგლისურენოვანი სასწავლო პროგრამის აღწერაში წერია: „განსაზღვრულია სტუდენტის მიერ შესრულებული წერითი ნაშრომის სხვა ნაშრომთან მსგავსების მისაღები ნორმა. დადგენილი ნორმიდან 10%- იანი ცდომილების დაფიქსირების შემთხვევაში ნაშრომი ჩაითვლება პლაგიატად და, შესაბამისად, შეფასდება 0 ქულით“. (თვითშეფასება, ინგლისურენოვანი პროგრამა, ნაწილი „სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები“).

ტექსტში მსგავსების აღსანიშნავად პროცენტის გამოყენება პრობლემურია, რადგან ეს არ არის ტექსტის როგორც ასეთის რაოდენობა, რომელიც განსაზღვრავს, მოხდა თუ არა პლაგიატი (თუ ბიბლიოგრაფიაში წყაროები სრულყოფილად არის მითითებული APA- სტანდარტით, მაშინ უკვე ამ სიაში შეიძლება მოიძებნოს 10- 20% მსგავსება), არამედ როგორი სახის მსგავსება გვხვდება ტექსტში. ზოგიერთ შემთხვევაში, მსგავსება ასევე შეიძლება მოხდეს სწორი ციტატების დროს და ა.შ. და, შესაბამისად, არ ითვლება პლაგიატად. პრინციპში, თითოეული სტუდენტის ნაშრომი ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, ხოლო ტექსტში მსგავსების აღსანიშნად მოცემულ პროცენტზე ფოკუსირება გამოიწვევს ცრუ დადებით შედეგებს (პატიოსანი სტუდენტები, რომლებსაც 0 ქულა ეწერებათ) და ბევრ ცრუ უარყოფით შედეგს (სტუდენტები, რომლებიც სესხულობენ ტექსტს სათანადო ციტირებისა და მითითების გარეშე (sic. plagiarizes), მაგრამ ახერხებენ ბარიერის ჩარჩოში მოხვედრას და იღებენ გამსვლელ შეფასებას).

უნივერსიტეტი აღარებს ამას და აცხადებს, რომ ის თითოეულ ნაშრომს ინდივიდუალურად შეფასებს, ასე რომ შეფასება არ ეფუძნება მხოლოდ ტექსტში მსგავსების პროცენტულ მაჩვენებელს. ექსპერტთა კომიტეტი იწინებს ამ მიდგომას, მაგრამ სურს ყურადღება გაამახვილოს ტექსტში მსგავსების მისაღები წინასწარ განსაზღვრულ პროცენტულ ზღვრების გამოყენების პრობლემებზე.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით გასაგებია, რომ პლაგიატის იდენტიფიკაციისთვის საჭიროა მკაფიო ზღვარი, მაგრამ პლაგიატი თავისთავად მრავალმხრივია და პლაგიატის არაერთი განსხვავებული სახე არსებობს - ტექსტის ამოჭრა-ჩასმა (უმარტივესი ვარიანტი), სხვა კვლევების მონაცემების ხელახალი გამოყენება სათანადო მითითების გარეშე, არგუმენტის ფილოსოფიური ან კონცეპტუალური სტრუქტურის კოპირება (პლაგიატის ფორმა, რომლის იდენტიფიცირება ძალიან რთულია). რა თქმა უნდა, ეს უნდა შეესაბამებოდეს ქართულ კანონს პლაგიატისა და ინტელექტუალური შინაარსის ქურდობის შესახებ (ამ საკითხს აქ არ შეეხებით), მაგრამ მთავარი ის არის, რომ ტექსტში გამოყენებული მსგავსების პროცენტულ მაჩვენებელზე უბრალო დაკვირვების გამოყენება არ არის ადეკვატური ან მისაღები ზომა იმის მტკიცებისთვის, რომ სტუდენტის ნაშრომი პლაგიატია და არც ის არის მისაღები, რომ მინიმალურ ზღვარს გადამცდარი პროცენტული მაჩვენებელი სტუდენტების ჩაჭრის ერთადერთი მიზეზი ხდება. ფაკულტეტმა უნდა გადახედოს პროგრამის ამ ნაწილს, განიხილოს პლაგიატის იდენტიფიცირების საკითხი ყოველი კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე, რომელიც არ ეყრდნობა პროცენტულ ზღვარს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და მისი სილაბუსები
- IBSU-ს სასწავლო პროცესის რეგულირება
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრება მოწვეულ პერსონალთან
- კურსის აღწერა/სასწავლო გეგმა

- თვითშეფასება
- IBSU -ში გამოცდების ჩატარების წესი
<https://drive.google.com/file/d/1UiKB7EGBafTmNZXfjqpOtxh4C2RK0S9i/view>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სილაბუსებში პრეზენტაციისთვის მინიჭებული შეფასების წონა შესწორდეს იმგვარად, რომ, უზრუნველყოფილი იყოს ქულების თანაბარი განაწილება შეფასების სხვა კრიტერიუმებთან მიმართებაში.
- რეკომენდებულია, კურსებში გამოიყენონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც შეამცირებენ სუბიექტური აზრის გავლენას შეფასებაზე.
- რეკომენდებულია, მკაფიოდ განისაზღვროს სემინარის აქტივობის შეფასების კრიტერიუმები.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა შექმნას დოკუმენტი, რომელიც აღწერს, თუ რამდენად/როგორ უნდა გამოიყენონ IBSU-ს სტუდენტებმა და პერსონალმა ხელოვნური ინტელექტი (AI) სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში.
- სასურველია, ფაკულტეტმა ზოგჯერ მიმართოს გარე გამომცდელს, რადგან ეს ხელს შეუწყობს შეფასების პროცედურის ხარისხისა და სისწორის კონტროლს.
- სასურველია, რომ შიდა შეფასების სანდოობა გარე შემფასებლისა და შიდა შემფასებლის მიერ გამოითვალოს და წარმოდგენილი იქნას პროგრამის ყოველწლიურ ანგარიშში.

შეფასება

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ფსიქოლოგიის (ინგლისურენ ოვანი) საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ფსიქოლოგიის (ინგლისურენ ოვანი) საბაკალავრო პროგრამა)	☐	X	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IBSU) ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამები ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, რაც შეესაბამება დაწესებულების მთავარ მისიას. ხარისხიან განათლებაზე, პროფესიონალიზმზე, გამოყენებით ინოვაციებსა და ინტერნაციონალიზაციაზე აქცენტის გაკეთებით, IBSU- ს მიზანია აღჭურვოს სტუდენტები წარმატებისთვის საჭირო უნარებით როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონტექსტში.

ამ პროგრამებში ჩარიცხული სტუდენტები ისარგებლებენ მათთვის შექმნილი ყველა ხელშემწყობი სერვისით, რაც გააუმჯობესებს მათ სასწავლო გამოცდილებას და ხელს შეუწყობს მათ აკადემიურ და პროფესიულ ზრდას. სწავლის დაწყებამდე სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ საორიენტაციო შეხვედრებში, სადაც გაეცნობიან პროგრამის მიზნებსა და სტრუქტურას. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში სტუდენტებს მუდმივ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევენ პროგრამის

ხელმძღვანელები, ფაკულტეტის წევრები და უნივერსიტეტის პერსონალი სასწავლო პროცესის დაგეგმვის, მიღწევების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში. თუმცა, სტუდენტებთან გასაუბრების დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სტუდენტებმა არ იციან საბიბლიოთეკო სისტემაში მონაცემთა ბაზების გამოყენება, რადგან მათთვის ეს წესები არ აუხსნიათ. ექსპერტთა ჯგუფი ამ საკითხს უფრო დეტალურად 4.4 თავში განიხილავს.

შხსუ-ში სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემის საფუძველს წარმოადგენს სტუდენტებისთვის მრავალფეროვანი სასწავლო შესაძლებლობების უზრუნველყოფა და შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში და სხვა ღონისძიებებში, რაც ხელს უწყობს მათ მონაწილეობას აკადემიურ დისკურსში და ამლიერებს ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას. სტუდენტების ჩართვა ფაკულტეტის კვლევით პროექტებში ლექტორებთან ერთად ეხმარება სტუდენტებს ცოდნის გაღრმავებაში პრაქტიკის საშუალებით.

უფრო მეტიც, უნივერსიტეტი პრიორიტეტს ანიჭებს საერთაშორისო თანამშრომლობას, რაც დასტურდება პრესტიჟულ დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმებით და ERASMUS+ პროგრამებში მონაწილეობით. ამ შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება სხვადასხვა არხების საშუალებით, როგორცაა ელექტრონული ფოსტა და უნივერსიტეტის შიდა პლატფორმა, რაც ამდიდრებს სტუდენტების აკადემიურ გამოცდილებას, ხელს უწყობს გლობალურ ჩართულობას და ამზადებს მათ საერთაშორისო მასშტაბის პროფესიული ზრდისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები
- ინტერნაციონალიზაციის ხედვა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

შეფასება

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფსიქოლოგიის (ინგლისურენ	X	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქვესტანდარტი 3.2. არ არის ამ პროგრამებთან რელევანტური.

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფსიქოლოგიის (ინგლისურ ენოვანი) საბაკალავრო პროგრამა)	X	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები

უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

